BLACK SEA GEORGIA LTD
შპს „ბლექ სი ჯორჯია“

№-1 31.07.2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,
გაცნობებთ, რომ შპს „ბლექ სი ჯორჯია“-ს დაგეგმილი აქვს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა ფოთში, კირქვის გადამუშავებით აწარმოოს მინერალური ფხვნილი, რომელიც გამოიყენება ასფალტ-ბეტონის წარმოებაში, მინერალურ დანამატად.
დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს კირქვის გაშრობას და დაფქვას. საპროექტო საწარმოში არ იგეგმება კირქვის პირველადი დამუშავება (დამსხვრევა, ფრაქციებად დახარისხება და გარეცხვა), საწარმოში, ნედლეულის სახით, შემოტანილი იქნება ლიცენზირებულ კარიერებზე მოპოვებული და დამუშავებული კირქვის შესაბამისი ფრაქციები.
საწარმოს განთავსების ტერიტორია, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები და ტექნოლოგიური დანადგარები, წარმოადგენს შპს „ზღვის პროდუქტების“ საკუთრებას, რომელიც 2020 წლის ივნისის ბოლოს იჯარით გადაეცა, შპს „ბლექ სი ჯორჯიას“.
შპს „ბლექ სი ჯორჯია“-ს დაგეგმილი საქმიანობა, განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართის 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (კირქვის გადამუშავებით მინერალური ფხვნილის წარმოება) ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას სკრინინგის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:
1. სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (კირქვის გადამუშავებით მინერალური ფხვნილის წარმოება) ექსპლუატაციის საწარმოს სკრინინგის ანგარიში- 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
2. პროექტის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილებთან ერთად და სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1CD.
3. საჯარო რეესტრის ამონაწერი, რითაც დასტურდება იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია.

დირექტორი: გიორგი წირღვავა

საქართველო, 4403 ქ.ფოთი, მიქაბერიძის ქ. №20
ტელ:+995 571 359 935, ელ-ფოსტა: Blackseageorgia@mail.ru
20, Mikaberidze str. Poti, 4403 Georgia
Tel: +995 571 359 935, E-mail: Blackseageorgia@mail.ru

№ 12040
03 08 2020
1/CD